ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 193

ქალაქი ქუთაისი 2023 წელი

ერთის მხრივ,
ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება
წარმოდგენილი ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველის მ/შ თეა კვანტიძე
მის: ქ. ქუთაისი, წმ ნინოს 9 მესამე სართული
საიდენტიფიკაციო ნომერი: №412677269
ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22
ორგანიზაციის კოდი № 050101
(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,
შპს ,,მორიკა"
ს/კ 412670275
დირექტორი დავითი სილაგაძე.
იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი ა.წერეთლის 173
ტელეფონის ნომერი: +995 596950950
საბანკო რეკვიზიტი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBSGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: № **GE72TB7709236080100004**
(შემდგომში მიმწოდებელი)

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების საფუძველზე მხარეები დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციას (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ ,,შემსყიდველი“) ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 ,,მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
1.6 „მომსახურება“– ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ფილიალებისთვის „ყინულის მოედანი“ და ომარ ფხაკაძის სახ. N12 კომპლექსური სპორტული სკოლა 3 ცალი ელექტრო გამათბობელის შეძენა.
2.2 კლასიფიკატორის კოდი – CPV **39715220** - ელექტროგამათბობელი მოწყობილობები

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: **166.00 (ას სამოცდაექვსი)** ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი, შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად.

4.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
4.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების შრომის უსაფრთხოებისა და მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსის მ/შ თორნიკე ბერიშვილი.
4.4 „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ -შესაბამისი უფლებამოსილი პირები.

5. მომსახურების მიწოდების პირობები და ვადები

5.1. მიმწოდებელმა შესყიდბის ობიექტის მიწოდება უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღის განმავლობაში.
5.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ადგილ(ებ)იაა (ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების **ადმინისტრაციის შენობა.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1 ,,შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტს მიიღებს ერთჯერადად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
6.2 „შემსყიდველი"–ს მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება, მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.
6.3 მიღება – ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: მომსახურების დასახელება და ღირებულება.
6.4 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის დამტკიცებას ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს შესყიდვის ოებიქტის მიწოდების შემდგომ , შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება;
ბ) მიღება-ჩაბარების აქტი;
გ) გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ.–ს ანგარიშფაქტურა (დ.ღ.გ.-ს გადამხდელობის შემთხვევაში).

7.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, (გადარიცხვა) ლარებში.
7.3 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ერთჯერადად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არა უგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს

წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია
10.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
10.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
10.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.
11.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
11.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.
11.5 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.
11.6 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის“ დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
11.7 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს არცერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ;
12.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ

დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ძალაშია ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2024 წლის 30 იანვრამდე.

15.2 საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ თანახმად ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:

ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება
მმართველის მ/შ

NNLE KUTAISI SPORT INSTITUTIONS UNION

Digitally signed by NNLE KUTAISI SPORT INSTITUTIONS UNION
DN: cn=NNLE KUTAISI SPORT INSTITUTIONS UNION, 2.5.4.97=NTRGE-412677269, o=, c=GE
Date: 2023.12.21 12:48:06 +04'00'

_____

თეა კვანტიძე

მიმწოდებელი:

შპს ,,მორიკა"
დირექტორი

David Silagadze

Digitally signed by David Silagadze
Date: 2023.12.21 16:59:44 +04'00'

_____

დავითი სილაგაძე